სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/19

ქ. თბილისი 17 აპრილი 2024

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 მარტის №01-05-04/25 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 17 აპრილის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს საათში 20 (ოცი) ლარის ოდენობით;
2. სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელობისათვის საათობრივი ანაზღაურება განესაზღვროს თვეში 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით;
3. დადგენილება გავრცელდეს 2024 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**